გადაწყვეტილება

N გ-20-19/585
23/07/2020

585-გ-20-1-4-202007231307

სატარიფო პაკეტის „ყვითელი მაქსი“ ცვლილებების თაობაზე, შპს „ვიონი საქართველოს“ მიერ კომისიისგან წინასწარი თანხმობის მიღების შესახებ

I. საქმის აღწერა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას (შემდგომში „კომისია“) მიმართა შპს „ვიონი საქართველომ“ წერილებით №494/20 17.07.2020 (კომისიაში რეგისტრაციის ნომერი №შ 20-6/3710) და №489/20 21.07.2020 (კომისიაში რეგისტრაციის ნომერი №შ 20-6/3761) სადაც კომისიის 25 ივნისის № გ-20-9/559 „მობილური ქსელით საცალო მომსახურებების ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე (მობილური საცალო ხმოვანი მომსახურება, მობილური ინტერნეტ მომსახურება და მოკლე ტექსტური შეტყობინებები) კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შესახებ“ გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის შესაბამისად

დახურულია

შპს „ვიონი საქართველოს“ პაკეტი „ყვითელი მაქსის“ არსებული პირობები:

- ულიმიტო ზარები ბილაინის ქსელში;
- 50 წუთი სხვა მობილურ ოპერატორთან;
- 500 მეგაბაიტი;
- მოქმედების ვადა - 30 დღე;
- ყოველთვიური აქტივაციის ღირებულება - 2 ლარი

შპს „ვიონი საქართველომ“ წერილებით (№შ 20-6/3710 და №შ 20-6/3761) წარმოდგინა დამატებითი ინფორმაცია პაკეტის ცვლილების დასაბუთებისთვის.

დახურულია

სატარიფო პაკეტის „ყვითელი მაქსი“ ცვლილებების თაობაზე შპს „ვიონი საქართველოს“ მიერ კომისიისგან წინასწარი თანხმობის მიღების შესახებ საკითხის განხილვა გაიმართა 2020 წლის 23 ივლისს 15:00 საათზე. შპს „ვიონი საქართველოს“ მოთხოვნით, კომისიის გადაწყვეტილებით მომსახურების პაკეტებთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია ცნობილ იქნა კომერციულ საიდუმლოებად. შესაბამისად, საკითხის განხილვა მოხდა დახურული სხდომაზე. დახურულ სხდომას ესწრებოდნენ შპს „ვიონი საქართველოს“ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ირაკლი ესართია და ფინანსური დირექტორი ვასილ ბერიშვილი.

დახურულ სხდომაზე მოისმინეს სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის უფროსის ეკატერინე იმედაძის ინფორმაცია.

II. კომისიის მიერ გამოკვლეული მტკიცებულებები

1. ამონაწერი კომისიის უწყებრივი რეესტრიდან შპს „ვიონი საქართველოს“ შესახებ;
2. შპს „ვიონი საქართველოს“ განცხადება №494/20 17.07.2020 (კომისიაში რეგისტრაციის №შ 20-6/3710);
3. შპს „ვიონი საქართველოს“ წერილი №489/20 21.07.2020 (კომისიაში რეგისტრაციის ნომერი №შ 20-6/3710);
4. შპს „ვიონი საქართველოს“ წარმომადგენლების ახსნა-განმარტებები;

III. კომისიის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

1. შპს „ვიონი საქართველო“ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული პირია.
2. შპს „ვიონი საქართველო“ კომისიის (№გ-20-9/559, 25.06.2020) გადაწყვეტილებით მობილური ქსელით მომსახურების (ხმოვანი და ინტერნეტი) საცალო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ცნობილია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად.
3. კომისიის გადაწყვეტილებით (№გ-20-9/559, 25.06.2020) შპს „ვიონი საქართველოს“, როგორც მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს დაკისრებული აქვს რიგი სპეციფიკური ვალდებულებები, მათ შორის, სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება, რაც სხვა ვალდებულებებთან ერთად მოიცავს შემდეგს: მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირი ვალდებულია წინამდებარე გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დროისთვის მოქმედი ნებისმიერი ტარიფის, პაკეტის ან/და შეთავაზების ცვლილება ან /და გაუქმება (გარდა აქციის ფარგლებში 3 თვეზე ნაკლები ვადით გაკეთებული შეთავაზებებისა) წინასწარ შეათანხმოს კომისიასთან, შესაბამისი დასაბუთებით. ამასთანავე, საჭიროების შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია გამოითხოვოს დასაბუთების ნაწილში შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა და ცვლილებასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია. კომისია ვალდებულია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირების მიერ სრულყოფილი ინფორმაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

4. შპს „ვიონი საქართველო“ განცხადებით (კომისიაში რეგისტრაციის ნომერი №შ 20-6/3710 17.07.2020), მიმართავს კომისიას და ითხოვს თანხმობას მობილური სატელეფონო მომსახურების ინტერნეტ პაკეტში ცვლილებების თაობაზე.

IV. სამართლებრივი საფუძველი და დასაბუთება

1. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მიხედვით, კომისიის ძირითადი ამოცანებია ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფისა და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სფეროში კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბება, შენარჩუნება და განვითარება, აგრეთვე ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი ავტორიზებული პირების მიერ ბოლო მომხმარებლებისათვის (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის) ხარისხიანი მომსახურების მიწოდების, მათთვის მომსახურების ფართო არჩევანისა და სატარიფო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
2. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, კომისიის ძირითად ფუნქციებს განეკუთვნება მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების კვლევისა და ანალიზის ჩატარება, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების განსაზღვრა, კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით ამ კანონით განსაზღვრული სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრება და მათ შესრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი;
3. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, კომისიის ამოცანებია: ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებისას ბოლო მომხმარებლების დისკრიმინაციის დაუშვებლობა, მათი უფლებების დაცვა, მიწოდებული მომსახურების სახეებზე სუბსიდირების დაუშვებლობა საერთო სარგებლობის ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებთან და ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებასთან თანაბარი ხელმისაწვდომობა, აგრეთვე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირთა მიერ იმ სპეციფიკური ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი და კონტროლი, რომლებიც მათ შეიძლება დაეკისროს ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველსაყოფად;
4. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მიხედვით, კომისია აკონტროლებს ავტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში განხორციელებულ საქმიანობას, ასევე მათ მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებას.
5. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის თანახმად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კონკურენციის წინასწარი რეგულირება ხორციელდება კომისიის მიერ განსაზღვრული მომსახურების ბაზრის შესაბამისი და მჭიდროდ დაკავშირებული სეგმენტების, ბაზრის შესაბამისი გეოგრაფიული საზღვრების მიხედვით. მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტებს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეების და გეოგრაფიული საზღვრების

განმსაზღვრელი კრიტერიუმების მიხედვით კომისია განსაზღვრავს კონკურენციის წინასწარი რეგულირების მიზნით. მომსახურების ბაზრის კვლევასა და ანალიზს, რომლებიც ხორციელდება ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების დადგენის მიზნით, კომისია ატარებს ბაზრის კონკურენტუნარიანობისა და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების განსაზღვრის მეთოდოლოგიის და პროცედურების საფუძველზე, რომლებიც მტკიცდება კომისიის დადგენილებით. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის რეგულირების უზრუნველყოფა, მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის უზრუნველყოფა და ამ სეგმენტებზე პირველადი და მეორეული კრიტერიუმების შესაბამისად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირთა დადგენა ხორციელდება ობიექტურობის, ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის, ფუნქციონალური ეკვივალენტობის (ფუნქციონალური კრიტერიუმების ერთგვაროვანი გამოყენების), მინიმალური საჭირო რეგულირების, პროპორციულად თანაზომადი სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრების, ეფექტიანი კონკურენციის წახალისების, გამჭვირვალობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპების გათვალისწინებით. მომსახურების ბაზრის კვლევისა და ანალიზის ჩატარების, ავტორიზებული პირების მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ დადგენის, ასევე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირებისათვის სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღებისას კომისია ითვალისწინებს საქართველოს მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების პირობებს, მათ შორის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გენერალურ შეთანხმებას „მომსახურებისა და ვაჭრობის შესახებ“.

6. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს გადაწყვეტილებით დააკისროს ერთი ან რამდენიმე, ქვემოთ ჩამოთვლილი სპეციფიკური ვალდებულება: ა) ინფორმაციის გამჭვირვალეობის უზრუნველყოფის ვალდებულება; ბ) დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება; გ) დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება კომისიის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიური წესების შესაბამისად; დ) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულება; ე) სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება.

7. კომისიის გადაწყვეტილების (№გ-20-9/559, 25.06.2020) სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად: „მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირი ვალდებულია წინამდებარე გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დროისთვის მოქმედი ნებისმიერი ტარიფის, პაკეტის ან/და შეთავაზების ცვლილება ან/და გაუქმება (გარდა აქციის ფარგლებში 3 თვეზე ნაკლები ვადით გაკეთებული შეთავაზებებისა), წინასწარ შეათანხმოს კომისიასთან, შესაბამისი დასაბუთებით. ამასთანავე, საჭიროების შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია, გამოითხოვოს დასაბუთების ნაწილში შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა და ცვლილებასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია. კომისია ვალდებულია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების მიერ სრულყოფილი ინფორმაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება“.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონისა და კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებების მოთხოვნების გათვალისწინებით ტარიფის, პაკეტისა და

შეთავაზების ცვლილების/გაუქმების თაობაზე წინასწარი თანხმობის გაცემის შესახებ კომისია გადაწყვეტილებას იღებს კანონმდებლობით დადგენილი პრინციპების შესაბამისად. კერძოდ, თანხმობის გაცემისას მხედველობაში მიიღება ისეთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმები, როგორებიც არის ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომხმარებლების ინტერესების დაცვა და კონკურენციის განვითარება. ტარიფის, პაკეტისა და შეთავაზების ცვლილებამ/გაუქმებამ არ უნდა დააზიანოს კონკურენტუნარიანი ბაზრის სტრუქტურა, გონივრული ალტერნატიული შეთავაზების გარეშე არ უნდა გააუქმოს ბაზარზე ხელმისაწვდომი პროდუქტები, არ უნდა იყოს დისკრიმინაციული და არ უნდა შეზღუდოს მომხმარებლების არჩევანის თავისუფლება. შესაბამისად, კომისია გადაწყვეტილებას იღებს დასახელებული ფაქტორების გათვალისწინებით.

დახურულია

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ვიონი საქართველოს“ მიერ მოთხოვნილი პირობებით პაკეტში ცვლილებების შეტანა არ არის დისკრიმინაციული, არ გამოიწვევს მომხმარებლების ინტერესების შელახვას და ბაზარზე კონკურენციის დონის გაუარესებას. შესაბამისად, კომისია მიიჩნევს, რომ შპს „ვიონი საქართველოს“ უნდა მიეცეს თანხმობა, №494/20 17.07.2020 განცხადებაში (კომისიაში რეგისტრაციის ნომერი №შ 20-6/3710) დასახელებული პირობებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით..

როგორც აღინიშნა, შპს „ვიონი საქართველოს“ განცხადების განხილვა მოხდა დახურულ სხდომაზე, ვინაიდან კომისიის გადაწყვეტილებით კომერციულ საიდუმლოებად იქნა ცნობილი შპს „ვიონი საქართველოს“ პაკეტების შესახებ ინფორმაცია. შესაბამისად, წინამდებარე გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს და მესამე პირებისათვის ხელმისაწვდომი გახდეს იმგვარად, რომ არ გამჟღავნდეს შპს „ვიონი საქართველოს“ კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია.

V. სარეზოლუციო ნაწილი

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების, მე-3 პუნქტის, მე-20 მუხლი მე-2 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების, 21-ე მუხლის, 29-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27[2] მუხლის, 28-ე მუხლის, 33-ე მუხლის, VII თავისა და „მობილური ქსელით საცალო მომსახურებების ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე (მობილური საცალო ხმოვანი მომსახურება, მობილური ინტერნეტ მომსახურება და მოკლე ტექსტური შეტყობინებები) კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“ კომისიის №გ-20-9/559, 25.06.2020 გადაწყვეტილების გათვალისწინებით, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა შპს „ვიონი საქართველოს“ შეიტანოს ცვლილება მობილური სატელეფონო მომსახურების პაკეტში №494/20 17.07.2020 განცხადებაში (კომისიაში რეგისტრაციის ნომერი №შ 20-6/3710) დასახელებული პირობებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით.
2. დაევალოს შპს „ვიონი საქართველოს“ მიაწოდოს კომისიას ინფორმაცია მობილური სატელეფონო მომსახურების პაკეტში №494/20 17.07.2020 განცხადებით (კომისიაში რეგისტრაციის ნომერი №შ 20-6/3710) გათვალისწინებული ცვლილების შეტანის თაობაზე.
3. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას ამ გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს „ვიონი საქართველოსთვის“ გაგზავნა (ო.ვოტ) და კომისიის ვებგვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება.
4. გადაწყვეტილება ძალაში შედის ამ გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს „ვიონი საქართველოსთვის“ ჩაბარების დღიდან;
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის

ხეივანი, №64), შპს „ვიონი საქართველოსთვის“ ამ გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში;

6. წინამდებარე გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს და მესამე პირებისათვის ხელმისაწვდომი გახდეს იმგვარად, რომ არ გამჟღავნდეს შპს „ვიონი საქართველოს“ კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია.

7. გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტს (ე. იმედაძე).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

მერაბ ქათამაძე

წევრი

ელისო ასანიძე

წევრი